

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02
--------------------------------------	-------

პროგრამის დასახელება:

სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2019-2022 წლები
--	-----------------

პროგრამის მიზანი:

საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობების გაუმჯობესება და მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წარმოადგენს სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა ქალაქის მოსახლეობისთვის, სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი თანხვედრაში მოდის საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებებთან და მიმართულია სოციალურად დაუცველი ოჯახების, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საბაზისო სოციალური გარანტიებით, მინიმალური სტანდარტებით და მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფისკენ. ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები ძირითადად ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში, თუმცა რჩება სოციალური უზრუნველყოფის მომსახურების ნაწილი, რომლის დაფინანსება აუცილებელია განხორციელდეს, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებიდან, ასევე მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებიდან და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, რაც ძირითადად უზრუნველყოფილია სოციალური დაცვის მიზნობრივი ქვეპროგრამებით. პროგრამა უზრუნველყოფს ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მოწყვლადი კატეგორიებისათვის (მკვეთრად გამოხატულ შშმ პირები და შშმ სტატუსის ბავშვები, ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები, სოციალურად დაუცველები, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლები და მათი შვილები და სხვები) სხვადასხვა სახის სერვისების მიწოდებას და მატერიალური დახმარების გაწევას, კერძოდ: ხორციელდება კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება (წყლისა და კანალიზაციის, დასუფთავებისათვის მოსაკრებლის, სატელეფონო-საბოთნენტო გადასახადის დაფარვა, გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება, თხევადი აირის ტალონით დახმარება), მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება, მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის შემთხვევაში სარემონტო სამუშაოებისათვის თანხის გადაცემა, მზრუნველობასმოკლებულ და უპოვარ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა (თავშესაფრით, სამედიცინო მომსახურებითა და კვებით უზრუნველყოფა), მოვლის საჭიროების მქონე პირთა ბინაზე მომსახურება (სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდება), უფასო კვებით უზრუნველყოფა (ყოველდღიურად დღეში ერთჯერ ცხელი საკვებით დაკმაყოფილება) და იმ ბენეფიციარების დროებითი ღამის თავშესაფრით უზრუნველყოფა, რომლებსაც არ გააჩნიათ საარსებო წყარო და საცხოვრებელი, აგრეთვე მინიმალური საყოფაცხოვრებო სტანდარტებით დაკმაყოფილება (საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სარემონტო მასალების შეძენა.

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
------------	-----	-----------	-----------	-----------	-----------

კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება	2 572 038	619 278	650 920	650 920	650 920
მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა	7 811 155	1 460 900	2 020 125	2 020 125	2 310 005
მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება	6 994 752	1 673 280	1 773 824	1 773 824	1 773 824
მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	3 573 375	866 340	902 345	902 345	902 345
მუნიციპალური უფასო სასადილო	15 842 005	3 779 200	4 020 935	4 020 935	4 020 935
დროებითი ღამის თავშესაფარი	1 469 330	311 600	385 910	385 910	385 910
საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა	145 800	34 500	37 100	37 100	37 100
მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა	2 477 400	500 000	650 000	650 000	677 400
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება	186 624	48 384	46 080	46 080	46 080
დასაქმების ხელშეწყობა	80 000	80 000	0	0	0
სულ პროგრამა	41 152 479	9 373 482	10 487 239	10 487 239	10 804 519

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესებულია საზოგადოების ცალკული კატეგორიების სოციალური პირობები. შემცირებულია მოსახლეობის სიღარიბით, ხანდაზმულობით და შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული სოციალური რისკები.

დამატებითი ინფორმაცია

--

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები						გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
	2018 წელი (საბაზისო)	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი					
გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესებულია საზოგადოების ცალკული კატეგორიების სოციალური პირობები	სოციალური სერვისების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	56124	58930	61877	64970	68219	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია	მონიტორინგი
	სერვისების რაოდენობა, რომელზეც ვრცელდება სოციალური შეღავათები	14	14	14	14	14	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია	მონიტორინგი
	მატერიალური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	1147	1204	1265	1328	1328	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია	მონიტორინგი

	<p>სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართული მოსახლეობის კმაყოფილების ინდექსი</p>	<p>N/A</p>	<p>N/A</p>	<p>N/A</p>	<p>N/A</p>	<p>N/A</p>	<p>%</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია</p>	<p>მონიტორინგი</p>
--	--	------------	------------	------------	------------	------------	----------	--	---	--------------------

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 01
---	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	619 278
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	619 278

ქვეპროგრამის მიზანი:

მოწყვლადი ჯგუფების ძირითადი კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წარმოადგენს სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა მოწყვლადი სოციალური კატეგორიისათვის. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ამ კატეგორიის მოსახლეობისათვის კომუნალური, სატელეფონო-სააბონენტო გადასახადებისა და გაზიფიცირების მონტაჟის თანხიდან გათავისუფლება, რაც გარკვეული დოზით დადებითი კუთხით მოახდენს ზეგავლენას მათ მატერიალურ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, შემუშავებული იქნა კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირების ქვეპროგრამა. სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

1. მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების; ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების; 0-დან 70000 ლარის მქონე სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანი ოჯახების (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლების (მარტოხელა დედა / მარტოხელა მამა) და მათი შვილების ყოველთვიურად წყლისა და კანალიზაციის საფასურის (ერთეულის ფასი - 1,85 ლარი) და დასუფთავების მოსაკრებლის საფასურის (ერთეულის ფასი - 1,30 ლარი) გადასახადის უზრუნველყოფა. ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2016 წლის 29 იანვრის #3 დადგენილებით იმ ფიზიკური პირებისათვის, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა 70.000-ზე დაბალია, მოსაკრებლის განაკვეთი ერთ სულ მოსახლეზე განისაზღვრა 1,00 ლარით, ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 4 სულით;
2. მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების; ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების ყოველთვიურად სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დავალიანების (ერთეულის ფასი - არაუმეტეს 5 ლარისა) დაფარვით უზრუნველყოფა;
3. მკვეთრად გამოხატული შშმ პირის, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების; ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების; 0-დან 70000 ლარის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირებით უზრუნველყოფა - კერძოდ, ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზაქურამდე;
4. ვეტერანის, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულებისათვის ყოველთვიურად 5 კგ თხევადი აირის შეძენა, რომელთაც არა აქვთ შეყვანილი ბუნებრივი აირი საცხოვრებელ ფართში.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
წყლისა და კანალიზაციის გადასახადის დაფარვა		14 260	67	316 572
მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი	რაოდენობა	1 660	22	36 852
ვეტერანი, მათთან გათანაბრებული პირი, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები	რაოდენობა	1 850	22	41 070
0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა დედები და მათი შვილები	რაოდენობა	10 750	22	238 650
დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა		14 260	43	183 756
მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი	რაოდენობა	1 660	16	25 896
ვეტერანი, მათთან გათანაბრებული პირი, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები	რაოდენობა	1 850	16	28 860
0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლები და მათი შვილები	რაოდენობა	10 750	12	129 000
სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა		830	120	49 800
მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი	რაოდენობა	230	60	13 800
ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები	რაოდენობა	600	60	36 000
გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე		140	1 080	50 400
მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და შშმ სტატუსის ბავშვები	რაოდენობა	15	360	5 400
ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები	რაოდენობა	65	360	23 400
0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი პირები	რაოდენობა	60	360	21 600

ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება	რაოდენობა	125	150	18 750
სულ ქვეპროგრამა	0	29 615		619 278

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
წყლისა და კანალიზაციის გადასახადის დაფარვა	x	x	x	x
დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა	x	x	x	x
სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა	x	x	x	x
გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზუქურამდე	x	x	x	x
ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან ძირითადი კომუნალური სერვისებით

დამატებითი ინფორმაცია

1. წყლის, კანალიზაციისა და სანდასუფთავების გადასახადზე შეღავათების გავრცელება განხორციელდება ყოველთვიურად ს(ს)იპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ქ. ბათუმში რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შშმ პირების და შშმ სტატუსის ბავშვების, ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების სიების, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში აღრიცხვაზე მყოფი მარტოხელა მშობლების (მარტოხელა დედა / მარტოხელა მამა) და მათი შვილების, მრავალშვილიანი (5 და მეტი შვილი) ოჯახების სიების და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ მოწოდებული ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების სიების საფუძველზე. ღონისძიებებში მითითებული ბენეფიციართა რაოდენობა წარმოადგენს წლის განმავლობაში ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა საშუალო საორიენტაციო რაოდენობას, რომელიც ყოველთვიურად შეიძლება შეიცვალოს/დაზუსტდეს სოციალური მომსახურების სააგენტოს და საქართველოს ვეტერანთა სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ბენეფიციართა ფაქტიური რაოდენობის მიხედვით. აქედან გამომდინარე, მოსარგებლე ბენეფიციართა წყლისა და კანალიზაციის და დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა ყოველთვიურად მოხდება ბენეფიციართა ფაქტიური რაოდენობის მიხედვით და ერთეულის ფასის გათვალისწინებით პროგრამული ბიუჯეტის ცვლილების გარეშე. იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარს წყლის აღრიცხვიანობა უზრუნველდება მრიცხველის საშუალებით, მას დაეფარება 3,6 კმმ გაზარჯული წყლის საფასური, რომელიც შეადგენს 1,85 ლარს, მითითებულ რაოდენობაზე მეტი ხარჯი დაიფარება ბენეფიციარის მიერ.

2. სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის გადახდაზე შეღავათის მისაღებად წარმოსადგენი საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან მკვეთრად გამოხატული შშმ პირის, შშმ სტატუსის ბავშვის შესახებ ან ვეტერანის მოწმობა და ცნობა სატელეფონო კომპანიიდან აღნიშნული ბენეფიციარის აბონენტად რეგისტრაციის შესახებ. შშმ სტატუსის ბავშვის შემთხვევაში ერთ-ერთი მშობლის პირადობის მოწმობა, შშმ სტატუსის ბავშვის დაბადების მოწმობა და მშობლის სახელზე გაფორმებული აბონენტის რეგისტრაციის ცნობა.

3. საცხოვრებელი ფართის გაზიფიცირების დროს წარმოსადგენი საჭირო დოკუმენტაცია: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, შესაბამისი კატეგორიის დამადასტურებელი მოწმობა (ვეტერანი, შშმ პირი, შშმ სტატუსის ბავშვი, სოციალურად დაუცველი), გაზიფიცირების ხელშეკრულება და ბუნებრივი აირის მოხმარების 1 წერტილის მოწყობის მომსახურების ხარჯთაღრიცხვა. შშმ სტატუსის ბავშვის შემთხვევაში ერთ-ერთი მშობლის პირადობის მოწმობა, შშმ სტატუსის ბავშვის დაბადების მოწმობა და მშობლის სახელზე გაფორმებული ხელშეკრულება ბუნებრივი აირის შემყვან კომპანიასთან . იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი არის მკვეთრად გამოხატული საერთო შშმპ, შშმ სტატუსის ბავშვი ან ვეტერანი და მათთან გათანაბრებული პირი და ამასთანავე ოჯახს აქვს მიკუთვნებული 0-70.000 ჩათვლით სარეიტინგო ქულა, პროგრამით გათვალისწინებული შედავათი გაუვრცელდება ერთ-ერთი კატეგორიით - 90%-ნი თანადაფინანსებით. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ცხოვრობს ორი მკვეთრად გამოხატული შშმპ, ორი შშმ სტატუსის ბავშვი ან ორი ვეტერანი და მათთან გათანაბრებული პირი, მაშინ გაზიფიკაციის თანხით დახმარება გავრცელდება მკვეთრად გამოხატული შშმპ, შშმ სტატუსის ბავშვის ან ვეტერანისა და მათთან გათანაბრებული პირის ოჯახზე. 2018 წელს, პროგრამის ფარგლებში, გაზიფიკაციის ვაუჩერი დაუფინანსდება იმ 0-70000 ქულის ჩათვლით მქონე სოციალურად დაუცველებს, მკვეთრად გამოხატული შშმ პირებს, შშმ სტატუსის მქონე ბავშვებს და ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, რომლებსაც 2017 წლის დეკემბერში ბუნებრივი აირის შემყვან კომპანიასთან ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულება და მიუხედავად ამისა ვერ მოხერხდა მათი საცხოვრებელი ფართის გაზიფიცირების დაფინანსება. 2018 წელს გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ვაუჩერის გაცემის, გამოყენების წესს და ქვეპროგრამის ღონისძიებასთან დაკავშირებულ სხვა პროცედურებს საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს ქ. ბათუმის მერი. თანხის გადარიცხვა მოხდება მომსახურების გამწევი გაზისშემყვანი კომპანიის პირად ანგარიშზე ბენეფიციარის საცხოვრებელ ფართში ბუნებრივი აირის შეყვანის შემდეგ, გაწეული სამუშაოსათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვის (ინვოისის და მიღება-ჩაბარების აქტის) საფუძველზე. თანხის გაანგარიშება მოხდება საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 31 ოქტომბრის # 26 დადგენილების გათვალისწინებით, შესრულებული სამუშაოების ღირებულების 90% თანადაფინანსებით.

4. თხევადი აირის ტალონის მისაღებად წარმოსადგენი საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ვეტერანის მოწმობა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან ძირითადი კომუნალური სერვისებით	წყლისა და კანალიზაციის საფასურზე და დასუფთავებისათვის მოსაკრებელზე შეღავათის მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	14260	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ინფორმაციის მიღება სოციალური მომსახურების სააგენტოდან და ვეტერანთა დეპარტამენტიდან
	სატელეფონო-სააბონენტო გადასახადზე შეღავათის მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	830	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ინფორმაციის მიღება სოციალური მომსახურების სააგენტოდან და ვეტერანთა დეპარტამენტიდან
	გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფილ ბენეფიციართა რაოდენობა	140	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ინფორმაციის მიღება სოციალური მომსახურების სააგენტოდან და ვეტერანთა დეპარტამენტიდან
	თხევადი აირის ტალონით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	125	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ინფორმაციის მიღება ვეტერანთა დეპარტამენტიდან. მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 02
---	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	1 460 900
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	1 460 900

ქვეპროგრამის მიზანი:

მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მატერიალური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

unicef-ს რეკომენდაციების შესაბამისად, მოწყვლადი კატეგორიებისათვის კეთილდღეობის კვლევის ანალიზის მიხედვით, ცხოვრების დონის ამაღლებაზე ყველაზე ეფექტურად მოქმედებს მიზნობრივი მატერიალური დახმარებები. აქედან გამომდინარე, შემუშავებული იქნა მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში, მატერიალური დახმარება გაეწევა: 1. სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილ პირებს, კერძოდ: ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით, კერძოდ: 15 თებერვალს - სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებულ ვეტერანებს; 9 მაისსთან დაკავშირებით - II მსოფლიო ომის ვეტერანებს და II მსოფლიო ომში დაღუპული პირის ოჯახის წევრებს; 27 სექტემბერთან დაკავშირებით საქ. ტერ. მთ. ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და დაინვალიდებულ ვეტერანებს. ახალ წელთან დაკავშირებით - სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებულ ვეტერანებს, საქ. ტერ. მთ. ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და დაინვალიდებულ ვეტერანებს, II მსოფლიო ომის ვეტერანებს და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს. 2. შვილის შექმნასთან დაკავშირებით 0-დან 100 001- მდე ქულის მქონე ოჯახებს. 3. გარდაცვლილი ვეტერანის (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი პირის 0-70000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრებს. 4. მოხდება ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება. 5. მატერიალური დახმარების გაცემა 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3-შვილიან ოჯახებზე, 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 4 შვილიან ოჯახებზე, 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 5 და მეტშვილიან ოჯახებზე, 5 და მეტი შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით, უდემამო ბავშვების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით, მარტოხელა მშობლების ყოველთვიური დახმარება 50 ლარის ოდენობით, 0-დან 100 000 ქულის მქონე ოჯახებს ბავშვთა მოვლის საშუალებების შესაძენად ყოველთვიური დახმარება ყოველ ერთ წლამდე ბავშვზე 60 ლარის ოდენობით. 6. მატერიალური დახმარების გაცემა სხვადასხვა საჭიროებებისათვის მოწყვლადი სოციალური კატეგორიის მქონე პირებისათვის საშუალოდ არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)

სადღესასწაულო დღეებში ვეტერანებზე (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები) მატერიალური დახმარების გაწევა		260	1 600	104 000
15 თებერვალი - სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებული ვეტერანები	რაოდენობა	4	400	1 600
9 მაისი - II მსოფლიო ომის მონაწილეები და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები	რაოდენობა	36	400	14 400
27 სექტემბერი - საქ. ტერ. მთ. ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრები და ინვალიდები	რაოდენობა	90	400	36 000
ახალ წელთან დაკავშირებით - სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებული ვეტერანები; საქ. ტერ. მთ. ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრები და დაინვალიდებული ვეტერანები; II მსოფლიო ომის მონაწილეები და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები.	რაოდენობა	130	400	52 000
შვილის შექმნასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა	რაოდენობა	111	800	88 800
ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალების შემთხვევაში მათ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა		80	1 000	40 000
გარდაცვლილი ვეტერანი (ომის მონაწილე)	რაოდენობა	30	500	15 000
გარდაცვლილი სოციალურად დაუცველი (0-70000 ქულის მქონე) პირი	რაოდენობა	50	500	25 000
ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება.	რაოდენობა	2	1 930	3 860
სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების, უდედმამო ბავშვებისა და მარტოხელა შშმების ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა		1 184	9 240	1 224 240
0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3 შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 80 ლარის ოდენობით	რაოდენობა	350	960	336 000
0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 4 შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით	რაოდენობა	135	1 200	162 000
0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 5 და მეტი შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 180 ლარის ოდენობით	რაოდენობა	64	2 160	138 240

5 და მეტი შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით	რაოდენობა	125	1 800	225 000
უდედმამო ბავშვების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით	რაოდენობა	35	1 800	63 000
მარტოხელა მშობლების ყოველთვიური დახმარება 50 ლარის ოდენობით	რაოდენობა	350	600	210 000
სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ჟლოს მქონე) ყოველ ერთ წლამდე ასაკის ბავშვზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა	რაოდენობა	125	720	90 000
სულ ქვეპროგრამა	0	1 637	14 570	1 460 900

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სადღესასწაულო დღეებში ვეტერანებზე (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები) მატერიალური დახმარების გაწევა	x	x	x	x
შვილის შეძენასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა	x	x	x	x
ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალების შემთხვევაში მათ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა	x	x	x	x
ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება.	x	x	x	x
სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების, უდედმამო ბავშვებისა და მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

მოწყვლადი სოციალური კატეგორიების წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით

დამატებითი ინფორმაცია

<p>1. შვილის შექმნასთან დაკავშირებით მატერიალურ დახმარებას მიიღებენ ის ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და აქვთ სარეიტინგო ქულა 0-დან 100 000-ის ჩათვლით. 2019 წლის ქვეპროგრამის ფარგლებში, ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა აგრეთვე იმ 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს, რომლებსაც ახალშობილი შეეძინათ 2018 წლის დეკემბრის თვეში და არ უსარგებლიათ დახმარებით, დახმარება გაიცემა 2018 წლის ქვეპროგრამით განსაზღვრული თანხის შესაბამისად. თანხის ჩარიცხვა განხორციელდება ერთ-ერთი მშობლის ანგარიშზე.</p> <p>საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება; ორივე მშობლის პირადობის მოწმობა; ქორწინების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბავშვების დაბადების მოწმობები; საბანკო რეკვიზიტი; ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების მითითებით.</p> <p>ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევის შემთხვევაში აღრიცხვაზე აყვანის დროს საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება; მშობლების პირადობის მოწმობის ქსეროასლები; ბავშვების დაბადების მოწმობების ქსეროასლები; ქორწინების მოწმობა (არსებობის შემთხვევაში); ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ, რომელშიც მითითებულია ოჯახის წევრები (დედა-მამა ან ერთ-ერთი მშობელი, 3 (სამი), 4 (ოთხი), ხუთი და მეტი ბავშვი) დადგენილი. ცნობა საჯარო რეესტრიდან მარტოხელა მშობლის სტატუსის შესახებ, საბანკო რეკვიზიტი. არსებული ბაზების ყოველთვიური გადამოწმების შემდეგ მატერიალური დახმარება გაიცემა ქ. ბათუმში მცხოვრებ იმ სამ და ოთხშვილიან 0-70000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის მინიმუმ ერთი ბავშვი; ქ. ბათუმში რეგისტრირებულ იმ მრავალშვილიან (5 და 5-ზე მეტი შვილი) ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის მინიმუმ ორი ბავშვი; იმ მარტოხელა მშობლებზე (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა), რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის მინიმუმ ერთი ბავშვი და არ ღებულობენ მატერიალურ დახმარებას ამ ქვეპროგრამის სხვა ღონისძიების ფარგლებში. აგრეთვე, 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვებზე, რომლებსაც მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისთვის უკვე დანიშნული ჰყავთ მეურვე და/ან მზრუნველი.</p>
<p>2. სოციალურად დაუცველი ბენეფიციარის და ვეტერანის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების გასაწევად საჭიროა შემდეგი დოკუმენტაცია: განცხადება, განცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, გარდაცვალების მოწმობა, ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ ან ვეტერანის მოწმობა, საბანკო რეკვიზიტი. საჭიროების შემთხვევაში განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს გარდაცვლილ ბენეფიციარზე გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ინვოისი, ზედნადები). 2019 წელს პროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარება აგრეთვე გაეწევა, 2018 წლის დეკემბერში გარდაცვლილი 0-დან - 70 000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი და გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახს, რომელთაც არ უსარგებლიათ აღნიშნული მატერიალური დახმარებით, ხოლო დახმარება გაიცემა 2018 წლის ქვეპროგრამული თანხის შესაბამისად.</p> <p>3. სატრანსპორტო ხარჯებით უზრუნველყოფილნი იქნებიან ის ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტები, რომლებიც უმაღლეს ან საშუალო-სპეციალურ განათლებას ღებულობენ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებულ აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში, კოლეჯებში, მიუხედავად რეგისტრაციის ადგილისა. საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება, პირადობის მოწმობა ან აიდი ბარათი, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან შშმ სტატუსის შესახებ, სასწავლებლიდან სტუდენტის დამადასტურებელი ცნობა, სტუდენტის საბანკო რეკვიზიტი.</p>
<p>4. ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევის შემთხვევაში აღრიცხვაზე აყვანის დროს საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ქსეროასლები, ბავშვების დაბადების მოწმობების ქსეროასლები, ქორწინების მოწმობა (არსებობის შემთხვევაში), ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ, რომელშიც მითითებულია ოჯახის წევრები (დედა ან/და მამა, 3, 4, 5 ბავშვი) , მოკვლევა შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან საჭიროების შემთხვევაში, ცნობა საჯარო რეესტრიდან მარტოხელა მშობლის სტატუსის შესახებ, საბანკო რეკვიზიტი. არსებული ბაზების ყოველთვიური გადამოწმების შემდეგ მატერიალური დახმარება გაიცემა ქ. ბათუმში მცხოვრებ იმ სამ და ოთხშვილიან 0-70000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის მინიმუმ ერთი ბავშვი; ქ. ბათუმში რეგისტრირებულ იმ მრავალშვილიან (5 და 5-ზე მეტი შვილი) ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის მინიმუმ ორი ბავშვი; იმ მარტოხელა მშობლებზე (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა), რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის მინიმუმ ერთი ბავშვი და არ ღებულობენ მატერიალურ დახმარებას ამ ქვეპროგრამის სხვა ღონისძიების ფარგლებში. აგრეთვე, 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვებზე, რომლებსაც მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისთვის უკვე დანიშნული ჰყავთ მეურვე და/ან მზრუნველი.</p>
<p>5. დახმარებას ყოველ ახალშობილზე მიიღებენ მშობლები (ან ერთ-ერთი მშობელი), რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და აქვთ სარეიტინგო ქულა 0-დან 100 000-ის ჩათვლით. საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ბავშვის დაბადების მოწმობა, ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ, საბანკო რეკვიზიტი.</p>

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მოწყვლადი სოციალური კატეგორიების წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით	ვეტერანების რაოდენობა, რომელზეც სადღესასწაულო დღეებში გაიცემა მატერიალური დახმარება	125	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	100	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	გარდაცვლილი ვეტერანის (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველთა ოჯახის წევრის რაოდენობა, რომელზეც გაიცემა მატერიალური დახმარება	80	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება.	2	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

შედეგი 2	მატერიალური დახმარება სხვადასხვა საჭიროებებისათვის მოწყვლადი სოციალური კატეგორიის მქონე პირებისათვის	540	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	ყოველთვიური მატერიალური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	1165	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	სოციალურად დაუცველ ოჯახთა რაოდენობა, რომელზეც ერთ წლამდე ასაკის ყოველ ახალშობილზე ყოველთვიურად გაიცემა დახმარება	120	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 03
---	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	1 673 280
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	1 673 280

ქვეპროგრამის მიზანი:

საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის მუნიციპალურ სატრანსპორტო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

სოციალურად დაუცველი 0-დან 70000 ქულის მქონე პირების, მასწავლებლების, მოსწავლეების, სტუდენტების, შშმ პირების, პენსიონერების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების მუნიციპალურ ტრანსპორტზე მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობაზე მგზავრობის საფასურის სუბსიდირების ქვეპროგრამა, რომელიც გულისხმობს მასწავლებლების, მოსწავლეების, სტუდენტების, იძულებით გადაადგილებული პირების, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარების, შშმ პირების, პენსიონერების, ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების საქალაქო ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება განხორციელდება M3 კლასის საქალაქო სამგზავრო ავტობუსით ქალაქის ფარგლებში მგზავრობის საფასურის კომპენსაციის სახით, კერძოდ: 1) მასწავლებლებზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებზე (გარდა პედაგოგებისა), რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) არ აღემატება 625 ლარს თვეში; სტუდენტებზე, იძულებით გადაადგილებულ პირებსა და ასაკით პენსიონერებზე და საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლებზე, რომელთა შრომის ანაზღაურება არ აღემატება 625 ლარს (თვეში საშუალოდ 14 მგზავრობა (ერთი მგზავრობის 15 თეთრით დაფარვა) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 50%-ით სუბსიდირება. 2) ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციართა, ვეტერანთა და მათთან გათანაბრებულ პირთა, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციართა, შშმ პირების, მოსწავლეების, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება (თვეში საშუალოდ 18 მგზავრობა (ერთი მგზავრობის 30 თეთრით დაფარვა)).

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)

განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირები, 0-70 000 ჟულის მქონე ბენეფიციარები, შშმ პირები, შშმ სტატუსის ზავშვები, მოსწავლეები) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება	რაოდენობა	19600	65	1 270 080
განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (მასწავლებლები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები (გარდა პედაგოგებისა), რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) არ აღემატება 625 ლარს თვეში), სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, საბავშვო ბაღების და ბილიოთეკების თანამშრომლები, რომელთა ხელფასი არ აღემატება 625 ლარს, მარტოხელა მშობლები თვეში მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 50%-ით სუბსიდირება	რაოდენობა	16000	25	403 200
სულ ქვეპროგრამა	0	35 600	90	1 673 280

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირები, 0-70 000 ჟულის მქონე ბენეფიციარები, შშმ პირები, შშმ სტატუსის ზავშვები, მოსწავლეები) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება	x	x	x	x
განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (მასწავლებლები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები (გარდა პედაგოგებისა), რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) არ აღემატება 625 ლარს თვეში), სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, საბავშვო ბაღების და ბილიოთეკების თანამშრომლები, რომელთა ხელფასი არ აღემატება 625 ლარს, მარტოხელა მშობლები თვეში მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 50%-ით სუბსიდირება	x	x	x	x

დამატებითი ინფორმაცია

მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება განხორციელდება "ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შედავითიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, კერძოდ: ა) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები – უფასო;

ა1 - საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში - უფასო ;

ბ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები (გარდა პედაგოგებისა), რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) არ აღემატება 625 ლარს თვეში) – 0,15 ლარი;

ბ1- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების და ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში – 0,15 ლარი;

გ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები – 0,15 ლარი;

დ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტები – 0,15 ლარი;

ე) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირები – 0,15 ლარი;

ვ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პენსიონერები – 0,15 ლარი;

ზ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საბავშვო ბაღებისა და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) თვეში არ აღემატება 625 ლარს – 0,15 ლარი;

ზ1 - საბავშვო ბაღებისა და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში და რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) თვეში არ აღემატება 625 ლარს – 0,15 ლარი;

თ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები – უფასო;

ი) ქ. ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები – უფასო;

კ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები – უფასო;

ლ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები – უფასო.

საჭიროების შემთხვევაში, ღონისძიებებს შორის თანხა შეიძლება გადანაწილდეს ცალკეული მგზავრობის შედავათზე მოთხოვნილების მიხედვით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურება	ბენეფიციართა რაოდენობა, რომელიც სარგებლობს მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურის 50 %-იანი შეღავათით	16000	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი. ინფორმაციის მოგროვება სხვადასხვა უწყებებიდან
	ბენეფიციართა რაოდენობა, რომელიც სარგებლობს მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურის 100 %-იანი შეღავათით (უფასო მგზავრობით)	19600	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი. ინფორმაციის მოგროვება სხვადასხვა უწყებებიდან

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 02 04

ქვეპროგრამის დასახელება:

მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	866 340
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	866 340

ქვეპროგრამის მიზანი:

მზრუნველობა მოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირთა სოციალური პირობების გაუმჯობესება

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

უმწეო მდგომარეობაში მყოფ ბენეფიციარებზე ზრუნვა ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთი მირითადი მიმართულებაა, განსაკუთრებით კი უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ადამიანებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი და არ ჰყავთ ნათესავები, მეურვეები ან უკიდურეს შემთხვევაში მიტოვებულნი არიან ბედის ანაზარად. დღეისათვის არსებული სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები სრულად ვერ ახდენენ ამ კატეგორიის მოქალაქეთა სამედიცინო-სოციალურ დახმარებას (სამედიცინო მომსახურება, თავშესაფრითა და კვებით უზრუნველყოფა და სხვა). ხშირ შემთხვევაში აქცენტი კეთდება მხოლოდ ინდივიდუალურ, ნაწილობრივ მომსახურებაზე (მხოლოდ ცალკე აღებული კვება, სამედიცინო მომსახურება ან თავშესაფარი). ამ მხრივ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი უკვე წლების განმავლობაში ახორციელებს უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსებას, რომელიც ითვალისწინებს ამ კატეგორიის მოქალაქეების თავშესაფრით, შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, საყოფაცხოვრებო პირობებითა და კვებით უზრუნველყოფას.

გარდა ამისა, გათვალისწინებულია სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდება სახლის პირობებში იმ ბენეფიციარებზე, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება. კერძოდ, მომსახურება გაეწევა ქრონიკულად დაავადებულ, ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე ან/და საწოლს მიჯაჭვულ ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 0-დან 100 000-მდე ქულის მქონე ბენეფიციარებს, შშმ პირებს, ასაკით პენსიონერებს. ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან სამედიცინო დახმარებით (პრევენცია, მკურნალობა, რეაბილიტაცია) ყოველდღიურ საქმიანობაში მხარდაჭერით (განათლება, უნარების განვითარება, პერსონალური ჰიგიენის მოწესრიგება) პაციენტებისა და ახლობლების ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარებით (მხარდაჭერა, ჯანსაღი სოციალური გარემოს შექმნა, ასევე საჭირო სერვისების მისაღებად).

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება	რაოდენობა	122	6 570	801 540
ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	რაოდენობა	100	648	64 800
სულ ქვეპროგრამა	0	222		866 340

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება	x	x	x	x
ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

მზრუნველობა-მოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამით ისარგებლებენ: 1. ქ. ბათუმში რეგისტრირებული მარტოხელა, მიუსაფარი და სოციალურად დაუცველ ოჯახთა მზრუნველობას მოკლებული ადამიანები. 2. მომსახურება გაეწევა ქრონიკულად დაავადებულ, ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე ან/და საწოლს მიჯაჭვულ ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 0-დან 100 000-მდე ქულის მქონე ბენეფიციარებს, შშმ პირებს, ასაკით პენსიონერებს. მოსარგებლეთა შერჩევა მოხდება შემოსული განცხადებების საფუძველზე. განცხადებასთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი: პირადობის მოწმობის ქსეროასლი, საჭიროების შემთხვევაში ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ, საპენსიო მოწმობა და ფორმა-100 ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა მოვლა-პატრონობა შესაძლებელია განხორციელდეს თანადაფინანსების პრინციპით შესაბამისი გამოცდილების მქონე ორგანიზაციასთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდებას სახლის პირობებში უზრუნველყოფს მულტიდისციპლინარული ჯგუფი: 3 ექთნით, 1 ექთნის ასისტენტით, 1 საინფორმაციო ბაზის ოფიცრით. ამავდროულად უზრუნველყოფილი იქნება ოფისით, ტრანსპორტით და ტექნიკური აღჭურვილობით. ღონისძიებაში ჩართულ ბენეფიციარებთან ვიზიტის სიხშირე განისაზღვრება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმიდან გამომდინარე, ხოლო ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ყოველთვიურად ერთ ბენეფიციარზე გამოყოფილი თანხა საშუალოდ 54,00 (ორმოცდაათობზეტი) ლარის ოდენობით (მედიკამენტებისა და ჰიგიენური საფენების შესაძენად) გადანაწილდება თითოეულ ბენეფიციარზე საჭიროების მიხედვით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მზრუნველობამოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები	მოხუცებულთა თავშესაფარში სერვისის მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	122	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	სერვისის მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	100	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 06
---	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

მუნიციპალური უფასო სასადილო

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	3 776 200
სხვა წყარო	3 000
სულ ქვეპროგრამა	3 779 200

ქვეპროგრამის მიზანი:

სიღატაკის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის უფასო საკვებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის უმწეოთათვის განკუთვნილი ექვსი უფასო მუნიციპალური სასადილო ემსახურება სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა ყოველდღიურად, დღეში ერთჯერ, ცხელი საკვებით უზრუნველყოფას, რომელიც გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს მათი არსებობისათვის. 2019 წლისათვის იგეგმება 5079 ბენეფიციარის მომსახურება. ყოველთვიურად ხდება მოსარგებლე პირთა რაოდენობაში ცვლილების შეტანა სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა ბაზის საფუძველზე. მომსახურებით ისარგებლებენ ის მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“ და მინიჭებული აქვთ 0-დან 65000 ჩათვლით სარეიტინგო ქულა და წარმოადგენენ განაცხადებს. გარდა ამისა, სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბერის დადგენილება №758-ის გათვალისწინებით, პირველ რიგში შერჩევით დაკმაყოფილებიან ის ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა 65 000-მდეა და ამავდროულად არიან ქ. ბათუმის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები, შშმ და შშმ სტატუსის მქონე ბავშვები, მათ ოჯახის წევრებთან ერთად, მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) ოჯახები, მარტოხელა მოხუცები, მარტოხელა მშობლები, მათ შვილებთან ერთად ან/და ადმინისტრაციული ერთეულებიდან მოკვლევის საფუძველზე. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მარტოხელა ბენეფიციართა ბინაზე მომსახურება და ადგილზე კვება, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ გადაადგილებას. უფასო მუნიციპალური სასადილოების გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით განხორციელდება ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა-განახლება.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ადმინისტრირება და მართვა			10 799	1 115 436
შრომის ანაზღაურება	რაოდენობა	101	8 299	838 200
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	რაოდენობა	4	2 500	10 000

საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები				267 236
საკვები პროდუქტების შექმნა (ბენეფიციართა რაოდენობა)	ლარი	5 079	516	2 620 764
მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება			6 000	43 000
საოჯახო და საოფისე ტექნიკა	რაოდენობა			3 000
სამზარეულოს აქსესუარები (ჭურჭელი)				5 000
პურის თარო	რაოდენობა	5	1 000	5 000
კარტოფილის სათლელი მოწყობილობები	რაოდენობა	4	4 000	16 000
გაზის ქურა	რაოდენობა	14	1 000	14 000
სულ ქვეპროგრამა	0			3 779 200

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ადმინისტრირება და მართვა	x	x	x	x
საკვები პროდუქტების შექმნა (ბენეფიციართა რაოდენობა)	x	x	x	x
მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება		x	x	

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

სოციალურად დაუცველი პირები ყოველდღიურად უზრუნველყოფილნი არიან ერთჯერადი კვებით

დამატებითი ინფორმაცია

მომხმარებელთა შერჩევა მოხდება 0-დან 65000 სარეიტინგო ქულის ჩათვლით მქონე ოჯახებს შორის შედარებით დაბალი ქულების გათვალისწინებით, კერძოდ, უპირატესობა მიენიჭება 30 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებს, აგრეთვე ქ. ბათუმის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს, მრავალშვილიან (სამი და მეტი შვილი), შშმ და შშმ სტატუსის მქონე ბავშვების ოჯახებს, მარტოხელა მოხუც პენსიონერებს. კონტინგენტის შერჩევას განახორციელებს ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო. მენიუში ცვლილება შესაძლებელია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურთან შეთანხმებით. საჭირო დოკუმენტაცია: პირადობის მოწმობა; ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ. დამატებით: ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობის ქსეროასლი, ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან, ცნობა შშმ სტატუსის შესახებ, ადმინისტრაციული ერთეულებიდან მოკვლევა.

სადღესასწაულო დღეებში განხორციელდება (აღდგომის დღესასწაული-პასკა, კვერცხი; მარიამობის დღესასწაულზე - ქათამი და ძეხვი და სახალწლოდ - სახალწლო ნობათი) ერთჯერადი საჩუქრების გაცემა.

ქვეპროგრამაში დამატებითი სიით (პროგრამით გათვალისწინებული დამზადებული გაუხარჯავი საკვებით) ისარგებლებენ ის მოქალაქეები, რომლებიც წერილობით ითხოვენ კვებით უზრუნველყოფას. მათ შორის - პენსიონერები, შშმ პირები, მარტოხელა პირები, რომლებსაც არა აქვთ მინიჭებული სარეიტინგო ქულა, ვინაიდან ვერ ხერხდება მათი სოციალური მდგომარეობის შესწავლა სოციალური სააგენტოს მიერ გარკვეული მიზეზების გამო (საცხოვრებელი ადგილის ხშირი შეცვლა, ავადმყოფობა) ან მათი სარეიტინგო ქულა აღემატება 65000-ს მიუხედავად მათი მიმდევარ სოციალური მდგომარეობისა, ასევე შეჭირვებული ოჯახის წევრები, რომელთა სარეიტინგო ქულა შეჩერებულია დროებით გადამოწმების მიზნით ოჯახში მომხდარი ცვლილებების გამო (დემოგრაფიული ცვლილება, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა), აგრეთვე სტიქიური მოვლენების გამო დროებით უსახლკაროდ, სახსრების გარეშე დარჩენილი ადამიანები. ასეთი ოჯახებისა და მოქალაქეების მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხი განიხილება კომისიური წესით მოკვლევის საფუძველზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სოციალურად დაუცველი პირები ყოველდღიურად უზრუნველყოფილნი არიან კვებით	სასადილოების რაოდენობა, სადაც ხელმისაწვდომია უფასო კვების სერვისი	6	რაოდენობა	ა(ა)იპ - ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო	ყოველთვიურად	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი
	ყოველდღიურად უფასო კვების სერვისით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	5079	რაოდენობა	ა(ა)იპ - ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო	ყოველთვიურად	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 02 07

ქვეპროგრამის დასახელება:

დროებითი ღამის თავშესაფარი

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	311 600
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	311 600

ქვეპროგრამის მიზანი:

უპოვართა და უსახლკარო პირთა უზრუნველყოფა დროებითი ღამის თავშესაფრით

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

საქართველოში მიუსაფარი პირებისათვის სათანადო დახმარების გაწევა ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი ორგანოების უფლება-მოვალეობაა და ამ ადამიანებისათვის თავის გადარჩენის ერთადერთ საშუალებას ღამის თავშესაფარი წარმოადგენს. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ყოველდღიურად 50 ბენეფიციარისათვის ღამის გათევას ორჯერადი კვებით (საუზმე, ვახშამი) და სუფთა ტანსაცმლით უზრუნველყოფას, საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების გაწევას. გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით განხორციელდება ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა-განახლება.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ადმინისტრირება და მართვა				223 650
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება	რაოდენობა	2	10 800	21 600
შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება	რაოდენობა	16	6 296	100 740
საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები				101 310
სამედიცინო მომსახურება		50	160	8 000
საკვები პროდუქტების შესყიდვა		50	1 460	73 000
მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება				6 950
კონტეინერი	რაოდენობა	3	1 000	3 000
ჭიშკარი	რაოდენობა	1	2 000	2 000
კომპიუტერი	რაოდენობა	1	1 200	1 200

პრინტერი	რაოდენობა	1	750	750
სულ ქვეპროგრამა				311 600

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ადმინისტრირება და მართვა	x	x	x	x
სამედიცინო მომსახურება	x	x	x	x
საკვები პროდუქტების შესყიდვა	x	x	x	x
მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

დროებითი ღამის თავშესაფარი ფუნქციონირებს შეუფერხებლად

დამატებითი ინფორმაცია

ბენეფიციარი დროებითი ღამის თავშესაფარში შეიძლება იმყოფებოდეს 19 საათიდან დილის 10 საათამდე, რის შემდეგაც აუცილებლად უნდა დატოვოს თავშესაფრის შენობა. თავშესაფრის ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც ღამის თავშესაფარში მიყვანილნი არიან საპატრულო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების მიერ.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
დროებითი ღამის თავშესაფარი ფუნქციონირებს შეუფერხებლად	ბენეფიციარი	50	რაოდენობა	ა(ა)იპ - ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 08
---	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	34 500
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	34 500

ქვეპროგრამის მიზანი:

ხანდაზმულთა სოციალური ცენტრისა და ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრი გაიხსნა 2011 წელს და დღემდე აგრძელებს ხანდაზმულ მოხუცებზე და პენსიონრებზე ზრუნვას, უქმნის მათ ცენტრის პირობებში თბილ გარემოს, აწყობს მათი ნამუშევრების (ხელნაკეთობების) გამოფენა-გაყიდვას, მათი მონაწილეობით კულტურულ ღონისძიებებს, ექსკურსიებს. ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრის მართვასა და ფუნქციონირებაში ადგილობრივი თვითმმართველობის მეტი ჩართულობის და მათი როლის გაზრდის მიზნით, სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში არაერთი წელია ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უწყევს მატერიალურ მხარდაჭერას ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალურ ცენტრს, რომელიც ითვალისწინებს (საკანცელარიო, ოფისის, კომუნალური, სამივლინებო და სხვა (საოფისე და საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა)) ხარჯების დაფარვას. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება დებულებიდან გამომდინარე ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს სტიქიური უბედურებების და საგანგებო სიტუაციების დროს, სისხლის დონაციის, ეპიდემიების დროს, მონაწილეობს სამებრო და სამაშველო საქმიანობაში, მოსახლეობისათვის პირველადი დახმარების უზრუნველყოფასა და გადამზადებაში. ამ კუთხით ადგილობრივი თემების გაძლიერების, კატასტროფების ზეგავლენის შემსუბუქების, უსაფრთხო გარემოს და სიცოცხლის ხელშეწყობის მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოხდება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სუბსიდირება. ასეთივე მხარდაჭერა გათვალისწინებულია ბათუმის ვეტერანთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ვეტერანთა ინფორმირებას და მეტ ჩართულობას სოციალურ პროგრამებში, შემოდიან წინადადებებით ვეტერანებისათვის ახალი პროექტების შემუშავებისა და განხორციელების თვალსაზრისით, აქტიურად ერთვებიან და მონაწილეობენ ვეტერანებისათვის ორგანიზებულ ღონისძიებებში.

დასახელება	პროდუქტები			
	გაწომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საზოგადოებრივი ორგანიზაციების მატერიალური მხარდაჭერა		4	34500	34500

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა		1	27 000	27 000
ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება "ომგადახდის" ქალაქ ბათუმის ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა		1	2 500	2 500
ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა		1	2 500	2 500
ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა		1	2 500	2 500
სულ ქვეპროგრამა	0		34 500	34 500

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საზოგადოებრივი ორგანიზაციების მატერიალური მხარდაჭერა	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

უზრუნველყოფილია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა, უსინათლოთა და ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა

დამატებითი ინფორმაცია

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ფინანსური დახმარება გაეწევათ ყოველი კვარტლის ბოლოს, მათ მიერ წარმოდგენილი წერილის საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება კვარტლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებისათვის (საკანცელარიო, ოფისის, კომუნალური, სამივილინებო, მიმდინარე აქტივობები, სხვადასხვა ხარჯები (საოფისე და საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა)) საჭირო თანხის ოდენობა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>უზრუნველყოფილია ხანდაზმულთა სოციალური ცენტრისა და ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა</p>	<p>საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაოდენობა, რომელთა ფინანსური დახმარება განხორციელდა</p>	<p>4</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	<p>კვარტალში ერთხელ</p>	<p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	<p>მონიტორინგი</p>

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 10
---	----------

ქვეპროგრამის დასახელება:

მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	500 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	500 000

ქვეპროგრამის მიზანი:

მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის, უპირატესად სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, სოციალური პირობების გაუმჯობესება და მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

unicef-ის კვლევის მიხედვით, უპირატესად მოწყვლადი კატეგორიის მოსახლეობის კატეგორიისათვის აუცილებლობას წარმოადგენს მატერიალური დეპრივაციის დამლევა და მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა, რომლის დამლევის მიზნით შემუშავებული იქნა ზემოთაღნიშნული ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, ტექნიკის და საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის რეაბილიტაციისათვის საჭირო მასალების შექმნა და სამეშე მასალის გაცემა სოციალურად დაუცველი შშმ და ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57 001; სამი და მეტ შვილიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 30 001 და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 1001-ს.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)

სოციალურად დაუცველი შშმ და ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57.001; სამი და მეტ შვილიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 30.001; სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 1.001-ს პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, ტექნიკის, და სარემონტო მასალების შეძენა, საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის რეაბილიტაციისათვის	რაოდენობა	500	1 000	500 000
სულ ქვეპროგრამა	0	500		500 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სოციალურად დაუცველი შშმ და ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57.001; სამი და მეტ შვილიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 30.001; სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 1.001-ს პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, ტექნიკის, და სარემონტო მასალების შეძენა, საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის რეაბილიტაციისათვის	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები და შექმნილია მინიმალური საცხოვრებელი პირობები

დამატებითი ინფორმაცია

1. სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, ტექნიკის, და სარემონტო მასალების (საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის სარემონტო სამუშაოების ჩატარებისათვის) შექმნის მიზნით მოხდება აღნიშნული ოჯახების/პირების საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო პირობების კვლევა (აღწერა და დასურათება) სერვის ცენტრის მენეჯერების მიერ. წინასწარ განსაზღვრული გადასაცემი საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, ტექნიკის შექმნა მოხდება შესყიდვის წესით, ხოლო სარემონტო მასალების შექმნა მოხდება ვაუჩერის საფუძველზე. ვაუჩერის ფორმა, მიმოქცევისა და ანგარიშსწორების პირობები მტკიცდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დახმარების მიმღებმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: 1. განცხადება; პირადობის მოწმობის ქსეროასლი; 2. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ, 3. სარემონტო მასალების შექმნისას (სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით) უნდა წარმოადგინოს გასაწევი ხარჯის შესაბამისი ხელშეკრულება, ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი, სასაქონლო ზედნადებები; 4. საცხოვრებელი ფართის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

2. ქვეპროგრამის მეორე პუნქტით გათვალისწინებული მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის ერთ ოჯახზე მისაწოდებელი საყოფაცხოვრებო ნივთების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 800 ლარს. ასევე, საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის სარეაბილიტაციო მასალის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 2000 ლარს, რომელიც გაიცემა ვაუჩერით. ორივე ღონისძიებით სარგებლობისას მაქსიმალური თანხა შეადგენს 2000 ლარს.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები და შექმნილია მინიმალური საცხოვრებელი პირობები	პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების მიმღები და საცხოვრებელი ფართის სარეაბილიტაციო სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა	500	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 02 11

ქვეპროგრამის დასახელება:

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	48 384
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	48 384

ქვეპროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, კერძოდ, მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლოები და ეტლით მოსარგებლე პირები უმეტესად ვერ ახერხებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართვას. ამ ადამიანებს ხშირად სჭირდებათ სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებში ვიზიტი, რისთვისაც სჭირდებათ დამხმარე პირების მომსახურება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლოთა და ეტლით მოსარგებლე პირთა გადაადგილების მიზნით ასისტენტის მომსახურების დაფინანსებას. ასევე ე.წ. „ამოსუნთქვის საშუალებას“, ოჯახის წევრებისათვის, რომელიც გულისხმობს ასისტენტების მიერ მომსახურების პერიოდში ნაწილობრივ სოციალური მუშაკის ფუნქციების შეთავსებას. საწყის ეტაპზე, დაგეგმილია, რომ აღნიშნული სერვისით ისარგებლებს 42 ბენეფიციარი, რომელთაც მოემსახურება რვა ასისტენტი. ერთი ასისტენტი მოემსახურება 6 ბენეფიციარს და კვირაში თითოეულს 2-ჯერ, ერთი საათის განმავლობაში გაუწევს დახმარებას. ერთი ვიზიტის მომსახურების საფასური იქნება 12 ლარი.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლო პირების და ეტლით მოსარგებლე შშმ პირების ასისტენტით მომსახურება	რაოდენობა	42	1 152	48 384
სულ ქვეპროგრამა	0	42		48 384

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
------------	------------	------------	------------	------------

<p>მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლო პირების და ეტლით მოსარგებლე შშმ პირების ასისტენტით მომსახურება</p>	<p>x</p>	<p>x</p>	<p>x</p>	<p>x</p>
--	----------	----------	----------	----------

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

ნაწილობრივ უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ქალაქში გადაადგილება, მათი მომსახურება და საზოგადოებაში ინტეგრაცია

დამატებითი ინფორმაცია

ქვეპროგრამით ისარგებლებენ მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლო და ეტლით მოსარგებლე პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმში. მომსახურების მიღების მსურველისთვის საჭირო დოკუმენტაცია და პირობები: განცხადება, პირადობის მოწმობის ქსეროასლი, ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან. ასისტენტის პოზიციაზე დასაქმების მსურველმა კი უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: პირადობის მოწმობის ქსეროასლი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, საბანკო რეკვიზიტი, ასისტენტი აწარმოებს გადაადგილების ტაბელს, რომელშიც მითითებული იქნება მომსახურების ადგილი, დრო, ბენეფიციარის სახელი და გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, დანიშნულება, ბენეფიციარის ხელმოწერა. ასისტენტებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულებები, ხოლო თანხა გადაერიცხებათ პირად ანგარიშზე, წარმოდგენილი ტაბელის შესაბამისად. ასისტენტი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც გავლილი ექნება შესაბამისი ტრენინგი.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ქალაქში გადაადგილება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	42	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 06 02 12

ქვეპროგრამის დასახელება:

დასაქმების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	80 000
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	80 000

ქვეპროგრამის მიზანი:

დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის კავშირების გაუმჯობესება, მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის სერვისის დანერგვა

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს დამსაქმებლების შერჩევას, რომლებიც გამოხატავენ მზაობას ბენეფიციართა დასაქმების თაობაზე მინიმუმ 1 (ერთი) წლის ვადით და მათ შესახებ შესაბამისი მონაცემთა რეესტრის შექმნას.

ქვეპროგრამაში ჩართვა შეეძლება შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში, სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში რეესტრირებულ პირებს, რომლებიც ამავდროულად რეესტრირებული არიან 2019 წლის 1 იანვრამდე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. უპირატესობა მიენიჭება მოწყვლად ჯგუფებს (სამი და მეტ შვილიანი, სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები, ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, პენსიონერები, იძულებით გადაადგილებული პირები, მარტოხელა მშობლები, მარჩენალდაკარგულების ოჯახის წევრები). ბენეფიციარების შერჩევისას დაცული უნდა იყოს გენდერული ბალანსი და ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არ უნდა იყოს 20%-ზე ნაკლები.

ბენეფიციარი მერიას წარუდგენს განცხადებას ქვეპროგრამის ფარგლებში დარეგისტრირების შესახებ, რის შემდეგაც, მერია ქვეპროგრამის ფარგლებში წარდგენილ ვაკანსიებზე შესასრულებელი სამუშაოების ანალიზისა და ბენეფიციარის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, შესთავაზებს სამუშაო ადგილს.

საბოლოო გადაწყვეტილებას, ბენეფიციართან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, მერიის შეთავაზების საფუძველზე, იღებს დამსაქმებელი. ამასთან, ბენეფიციარი კონკრეტულ დამსაქმებელთან არ უნდა იყოს შრომით ურთიერთობაში უკანასკნელი 1 (ერთი) წლის განმავლობაში, ასევე, არ უნდა იყოს შრომის ანაზღაურების სუბსიდირების ანალოგიური სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარი.

მერია უზრუნველყოფს დასაქმებული ბენეფიციარის შრომის ანაზღაურების სუბსიდირებას ვაუჩერის საშუალებით შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ერთ ბენეფიციარზე ვაუჩერის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 200 (ორასი) ლარს ერთ თვეში.
- მერია უზრუნველყოფს ბენეფიციართა სუბსიდირებას დამსაქმებლის მიერ წარდგენილ ვაკანსიაზე გათვალისწინებული

შრომის ანაზღაურების 30%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა.

- სუბსიდირების ხანგრძლივობა განისაზღვრება არაუმეტეს 8 (რვა) კალენდარული თვით, შრომითი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

- სუბსიდირება განხორციელდება ვაუჩერით, რომლის ფორმა, მიმოქცევისა და ანგარიშსწორების პირობები მტკიცდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

სუბსიდირების დასრულების შემდგომ, დამსაქმებელსა და ბენეფიციარს შორის შემდგომი შრომითი ურთიერთობები რეგულირდება დამოუკიდებლად, საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი პირობებით.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შრომის ანაზღაურების სუბსიდირება 8 თვის განმავლობაში, თვეში 200 ლარის ოდენობით	რაოდენობა	50	1 600	80 000
სულ ქვეპროგრამა	0	50		80 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შრომის ანაზღაურების სუბსიდირება 8 თვის განმავლობაში, თვეში 200 ლარის ოდენობით		x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2019 წელი)

მოსახლეობას, მათ შორის მოწყვლად ჯგუფებს გაეწიათ სათანადო მომსახურება და დასაქმდნენ შრომის ბაზარზე

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მოსახლეობას, მათ შორის მოწყვლად ჯგუფებს გაეწიათ სათანადო მომსახურება და დასაქმდნენ შრომის ბაზარზე	ქვეპროგრამაში ჩართული დამსაქმებლების რაოდენობა	10	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	შიდა ანგარიში
	ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმდნენ შრომის ბაზარზე	50	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	კვარტალში ერთხელ	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	შიდა ანგარიში